№ 78
აპრილის 11, პარასკევი 1903 წ.
1877

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

№ 78
აპრილის 11, პარასკევი 1903 წ.
1903

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“
ᲰᲚᲘᲠᲘᲡ 8 ᲛᲐᲜᲗᲘᲗ
გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან.,11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ᲣᲛᲝᲯᲐᲒᲠᲔᲡᲘ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ Დ. Ზ. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ Ქ. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების
ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ
შესანახად და დაბაძეულებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **ᲞᲔᲢᲠᲔᲡᲣᲚᲐ ᲛᲐᲙᲐᲠᲝᲕᲘᲡᲐ.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იქავე სახლშია (ოლგის ქუჩა, ტელეფონი № 150).
ღვინიები ისყიდება 25 კაპ. დაწყებული ბოთლი.
ნარდად მაყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზედ ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინის კანტორა სახლშივე თვითონვე მიეტანს.
ᲦᲕᲘᲜᲝ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ:
საწყობში—გოლოვ. პროსპ. სახ. დობრეანსკაია, ტელეფ. № 595.
დეპო № 2, თად. ვარანცოვის ძველის პირდაპირ ტელეფ. № 210
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფონ. № 60.
კვეკასიის ფეიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიფესია, ალოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (25—ნ.—12)

ᲡᲔᲢᲧᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲔᲑᲔᲚᲘ ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲐᲜᲘ (მორტირა)
კედლის სისტემისა
„ᲘᲓᲔᲐᲚ“
სახალხოაშორისო კონგრესზე ლიონში **ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲮᲣᲫᲐᲠᲘ** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **ᲡᲣᲚ ᲣᲛᲘᲜᲬᲐᲓ** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **ᲞᲔᲢᲠᲔ ᲥᲘᲤᲘᲐᲜᲘ** ტფილისში, ოლგინის ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ** 150. ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე.
(12—ნ.—19)

Ს.-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘ
„ᲜᲐᲓᲔᲥᲓᲐ“
ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად
დაარსებულია 1847 წელს.
ᲞᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲙᲐᲠᲘᲡᲮᲐ . . . . . 1.650.000 მან.
ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲜᲒᲝ ᲙᲐᲠᲘᲡᲮᲐ . . . . . 2.664,808 მან.
I. გაგზავნა ტვირთისა.
300 საგენტოზედ მეტია ევროპიელ რუსეთის ყველა უმთავრეს ადგილას, კავკასიაში, შუა სპაიში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჭეკის უმთავრეს ქალაქებში სიზდაარ-კარედ.
კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.
კისრულობს ჩაბარას ბარე კაცისაგნის მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით კაცისგან ბარგისა, იუდის კაცისგან დაჭეშით საქონლის კაცისგანისთვის ეს, ს

მოქცეულიყო, როგორც უმრავლესობისთვის სასარგებლოა იქნებოდა და სასურველიც,—სერბიის მეფე ყოველნაირადა სცდილობს ხმაც.კი არავის ამოადებინოს; ჰგონებს, რომ პოლიციისა და ჯაშუშების წყალობით სანეტარო წესიერებასა და მშვიდობიანობას დაამყარებს სამეფოში; მაგრამ პოლიციასა და ჯაშუშებს ჯერ არსად აუშენებიათ ქალაქი და ვგონებ, ვერც სერბია ააშენონ.

ერთი კორესპონდენტი იწერება,—ბელგრადი და, ალბად, მთელი სერბიაც წარმოადგენს ძაძა-მოსილ პირისუფალს, რომელსაც შინ ეგულება უსაყვარლესი ცხედარი—ხალხის თავისუფლება—და დარდისაგან დაღვრემილ-დამშვრალ-ბული დაიარება; მეტად ღშეიათად შეხვდებით ხმა-მაღლი მოლაპარაკეს, ან მომღიმარმოკონარსა; ყველას რაღაც მზრუნველობა და დარდი აწევს გულზე და სასოებით მოელის იმ ცხედრის აღდგენას, რომლის მოიმედეც თუნდ მთელს ქვეყანას გაუმკლავდება.

თუ ალექსანდრე მეფე თვითნებობამა და ენინანობამ არ გაიტაცა, ან მლიქვნელ კარის-კაცთა ქვენა ზრახვათ არ აჰყვა, მალე დარწმუნდება, რომ უსამართლოდ წართმეული უფლება-უპირატესობა ისევ უნდა დაუბრუნოს თავის ხალხსა და მით განამტკიცოს სასურველი ურთი-ერთობა, რაიცა საუკეთესო თავმდებია ქვეყნის წარმატებისა ოორიგ ხალხი ხელოვნური მანქანა როდია, რომ ხან ასე ატრიალო ხან ისე.

ᲤᲘᲚᲘᲡᲝ

✦ ცნობილს გეოგრაფს ელიზ რეკლიუს წაუკითხავს სამი კვირის განმავლობაში ოთხწამაბთობით სამი ლექციია ბრიუსელში ქართველთა შესახებ. მეცნიერი ლექტორი დიდის გულ მტკივნეულობით თურმე ლაპარაკობდა ქართველთა შესახებ, გული უჩუუდგობდა და კინაღამ ტირილი მოსდიოდათ. ამბობდა, რომ ქართველი დიდებული ხალხია, ბრწყინვალე წარსული აქვსო. ამისთანა ერი არ ონოდა ოდეოოდეს. ოთოოიმა ეაქს სკოლა ხლობდეს, ირსებობდესო.

✦ სამშაბათს, 8 აპრილს, პირველ საათზე, სტეფანე და პეტრე კონსტანტინეს ძენი ზუბალაშვილნი და მათი ღისწული პაველ ოიოსების ძე თუმანიშვილი იყენენ სათავადაზნაურო სკოლის შენობის სანახავად. ყოველივე დაწერილებით დათვალიერეს და გაშინჯეს ბ-ნ ნ. ცხვედაძის თანდასწრებით, ძალიან ისიამოვნეს ნახულით და წასვლის დროს ბ-მ სტეფანე კონსტანტინეს ძემ ათი თუმანი გადასცა შენობის კანტორას მუშების დასასარგებლოდ. ფული მაშინვე დაურიგდთ მუშებს.

✦ რაც გზაფხული დადგა, ტფილისს მრავლად მოაწყდა უცხო ტომის მუშა ხალხი. ერეკნისა და გუმბრის რკინის გზას დიდ ძალი მუშა ხალხი მოპყავს აქ. მუშებში ხელოსნებიც უურვიან და უფროო კი დურგლები და კალატოზები, დანარჩენნი-კი უბრალო დღიური მუშები არიან, რომელნიც კალატოზთან და ან სხვა ხელოსნებთან მუშაობენ. ამ ბოლოს დროს ამ მუშათა რიცხვმა ერთობ იმატა. საქმე თუ ასე წავიდა, აქაურს მუშებს ძრიელ გაუჭირდებათ, რადგან მეტად დაეცემა ფასი მუშისა და სამუშაოც ყველას არ ეყოფა. მრავლად ეტანებიან მუშები ტფილისს სპარსეთისა და ოსმალეთის სამფლობელოებიდანაც იმავე ყარსისა და ერევან გუმბრის გზით.

✦ როგორც ხმები ისმის, სათანადო მთავრობას განუზრახავს თელავ-ს სასულიერო სასწავლებლის ტფილისში გადმოტანა და შეერთება ტფილისის სასულიერო სასწავლებელთთან. ა.ელავის სასულიერო სასწავლებელი დაარსებული იქმნა საქართველოს მეოთხე ეპარხიის თეოფილაქტეს მიერ 1817 წელსა სიღნაღის და თელავის მაზრის სასულიერო წოდების შვილთათვის.

✦ სათანადო მთავრობას განუზრახავს სოხუმში დაარსოს საკუთარი ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელი აფხაზეთის და სამეგრელოს სასულიერო წოდების შვილთათვის.

✦ რაღდან ქალაქის თავი ნ.ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ამ ქამად ავად იმყოფება, იმის თანამდებობას ასრულებს მ. ს. შესტაკოვი.

✦ ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის მეექვსე კლასის მოწაფენი აღდგომის მესამე დღეს ბათუმს და ქუთაისს გაემგზავრნენ დილის მატარებლით. მათ თან გაჰყვა მასწავლებელი ნ. მახათაძე.

✦ წარსული აღდგომის დღეებში მცხეთის მცხოვრებელ ზურაბა დედებაშვილს მუკლოვს თავისივე სიდედრი იმერლიშვილის ცოლი. საქმე ასე ყოფილა. ზურაბა დედებაშვილს, რომელიც თავის ცოლს თურმე უდიერად [illegible] ... [illegible] და ფ ათრევდა, ცოლი გაჰქცევია მეტის დუხჭირობის თავიდან ასაცილებლად. რასაკვირველია, დედებაშვილს ძალიან სწყენია და განუზრახავს, რაც უნდა ყოფილიყო, სამაგიერო გადაეხადა ცოლისთვის და ცოლის ყველა ნათესავებისათვის, ვინც-კი ხელს უმართავდა ცოლს გასაქცევად. სწორედ ამ საქმისთვის აღდგომის დღეებში მისული ინდ-ალიან ... [illegible] ... ქალი დადგა. ყველა შემოგნატრდა, ყველას თვალი რჩებოდა იმაზე... აკი თვალი ჭკრეს შვილო! ავად გაგიხდა... მეტის მეტად სუსტად არის, შვილო!..

— გაბა მე არ ვიცი, რომ ცოდოა?! ვიცი და გული მიტირის. ეკიმს მოვიყვან, ეკიმსა დამიანო!..

— ეკიმსა?! შვილო იმან რა იცის?!. ეკიმისგან მორჩენილი მე არავინ მინახავს!!

— მეც მკითხა ვისდგან მორჩენილი“ არავინ მინახავს!

— შვილო! დღეს დილით დავჯექი და ფრთილები ჩამოვსახი. ხატის მიზეზი გამოვიდა კატოსა... შენი სიდედრის სალოცავი თხოოლობს... კი არ ვიცი, საით არის ეს სალოცავი...

— ჩემი სიდედრის სალოცავი?.. ქარელი-საკეი უნდა იყვეს ..

— წადი, შენ გენაცვალე, მკითხავთან... ლამის ცოლი ხელიდან გამოგეცალოს!!. შეცოდება ის უცხოს შვილი. დედა მას აღარ გაიჩნია და მამა.

— დიდიდიდილო! დამაკადე,დღეს მღვდლისას „მისწრება“ უნდა მოვიდეს; ბავშვი ჰყავს ავად. იმას ვიჩვენებ და რას იტყვის, ვნახოთ... მერე მეც წავალ მკითხავთან, მეტი რაღა გზაა?!

— კარგი, შვილო, მე კი ვერ გამოეჩნდები „მისწრებასთან“, მეზობლისას გადავალ...

„მისწრება“ სოფელი მღვდლის შვილია. მას აქვს გათავებული სიფრანგლო სასწავლებელი. თხუთმეტი წელიწადია, რაც ის სოფლად მკურნალობს და თანაგრძნობა მოიპოვა ხალხში. გამოცდილებამ და დაკვირვებამ ის კარგ მკურნალად გახადა... ბევრს სნეულს უშველია მან, ბევრს დაუბრუნა სიცოცხლე... ღარიბებს უსასყიდლოდ სწაშლობდა. ამის გამო ხალხსა მეტ სახელად „მისწრება“ დაარქვა. ბევრმა არც-კი იცოდა მისინამდვილი სახელი,და მას,ბატონს „მისწრებას“ ეძახდა... ლექსმიაც მას მიმართა დღეს... „მისწრებამ“ ერთგულად გასინჯა ლექსოს ავად-მყოფი ცოლი და გამოიკვლია ყოველნი გარემოებანი, რომელთ შორის იგი სტეოვრობდა და ავად გახდა.

— შენი ცოლი ჯერის წერის პირველს დღეებში დაკავებულა შენისვე გაუფრთხილებლობით და მას, ჩემის ფიქრით, დედათა სნეულება აქვს. საპიროო, ქალაქში ჩაიყვანო, ბევრი-ბევრი დაგეხარჯოს ოცი ძანეთი. იქ საუკეთესო ექიმები მოაარჩენენ... მე კი არ შემიძლია წასვლითი მაგის მორჩენა. რომ შემეძლოს, ხომ იცი, არ დაგზარდებოდი... უთხრა მას გარეთ, ეზოში „მისწრებამ“.

— ვაი, ჩემს დაღეპვას?! ეგ რა მესმის, ბატონო „მისწრება?!“

— ტყეოდა დარდობ, ღმერთს გეფიცები! უბრალო სალმეა მაგის წამლობა... ცოლის სიცოცხლე თუ გინდა, შეასრულე, რაც გირჩევ...

ლექსმან გადასწყვიტა ჯერ მკითხავთან წასულიყო და მერე, თუ ის ვერას უშველიდა, ქალაქში წაეყვანა ავად-მყოფი. დაიჭირა ბლის ჯოხი ხელში ლექსმან, დგმს თხოვა კატოსთვის ყური ეგდოთ, გადიწერა პირჯვარი და გასწია მკითხავთან.

II

მკითხავთან მიმავალი გზა ლექსოს ცოლის სამშობლო-სოფელზე გადიოდა... ლექსო ამ სოფელს მიეახლოვდა, ტ.ფილმა საშინლადგაკრა დაუწყო... ფიქრთა აუთრებელმა გროვამ მოიცვა მთელი მისი არსება. აი, აუარა ბევრი-ლექსმან სოფლის საყდარს, რომელიც, მაღლითბოდან სოფელს კოხტად დასჩერებოდა. ლექსო სწორედ ამ საყდარში, ამ საყდრის ეზოში და იქვე მაღალ ცაცხვის ქვეშ, ამ ორი წლის წინ ბედნიერად გრძნობდა თავსა. აქ გადასწყვეტა იმისი და კატოს ბედი... ლექსოს ნათლიდ თვალ წინ წარმოუდგა მაშინდელი სურათები და გული აუჭიუდა... ბრწყინვალე აღდგომა იყო... ხალხი ბლოამად შეგროვილიყო ცაცხვის ქვეშ და ახალგაზრდა ქალ-ვაჟების ცქერით სტაგბოდა... მთელი შეკრებილების ძვირფასი თვალი, — დამამშვენებელი თაიგული ის იყო... იმისი კატო, რომლის სიცოცხლით სავსე ,,ნიავ-მაყლოვანი თვალები, შემოზღუდული შავი წარბ-წამწამით, მომჯადოებელის ძალით ატყვევებდა ახალგაზრდა ვაჟების გულსა... საკლოო ბიჭები გაგიოცებთ მას თვალს არ აშორებდნენ, მას მისჩერებოდნენ,—მის თითოეულის მცირე მოძრაობიო�კი, თითოეულს საამური ღიმილით გამოუთქმელად სტაკბოდნენ, ზმარად მას საცეკვაოდ იწვევდნენ... კატოც გრძნობდა თვის სიმშვენიერეს,—თვის მომხიბლველს ძალას,—მალი-მალ თვის გმელს შავს ნაწნავს მოხდენილათ ხელით შეათამაშებდა, ბადდადს ნაზის თითებით გასწორებდა და დამაღუთ ახალგაზრდა ვაჟებისკენ მორცსცად გიიხედავდა... ლექსო შეტად გიტაცა კატოს სიმშვენიერემ, მეტად დაიმონა მისმა საამურმა სახის გამომეტყველებამ. კარგა ხანია, რაც ის საკოლოს დაეტყოდა, მაგრამ კატოს გარდა მას თვალში არავინ მოსცალია... იმავე დღეს ლექსომ გამართო კატოს შეობლებთან ლაპარაკი მაშინაც, სოფელეანთ ითქვა ,,ბერთვეს შესახებ... კატოს ,,ბერთვა ძლიერ ბეკრს ახალგაზრდას სურდა. მისი მამა სასიძოს სთხოვდა ორმოცს თუმნის მოტანას კატოს შესართავად. საწყალს კატოს ვინ ჰკითხავდა, მოსწონდა თუ არა საქმროო: ვინც ორმოცს თუმანს მიუტანდა იმის მამას, სოფლის ჩვეულებისამებრ, ის წაიყვანდა კატოს ცოლად. ლექსო ვერ იყო კარგი შესახედავი ბიჭი, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ის იყო მშრომელი, მუეაითი, დოვლათიანი. კარგა ხანი ის რკინის გზაზე მუშაობდა დღიურად და სამოც თუმნამდის თავის ოფლით ფული ჰქონდა შეგროვილი... ლექსომ კატოს მამას ორმოცი თუმანი მიუტანა და დაინიშნა მის ქალზე... კატოს ეკრძა ვეღარ უშველი. ბეგრი იტირა, მაგრამ ვერა გაიწყო რა. ისიც თავის ბედს დაეშორა-ჩილა და გაჰყვა ლექსოს ცოლად, იმ ლექსოს, რომელსაც ის გაგიოცებით უყურებდა... ბაიხეთი ლექსოს ისიც, თუ რამდენი დაუჯდა მას კატოს ცოლად შერთვა: სულ ისი თუმანი დაეხარჯა... მოიგონა მღვდლის ტკბილი ამ დებულებით საკვდილით დასაჯენინ მხოლოდ უმძიმეს დანაშაულთა ჩამდენნი და სახელმწიფო წეს-წყობილების დარღვევის მსურველნი. თუ ქალმა ან მკირე ფლოგანმა ჩაიდინა ,ამ გვარი დანაშაული, საკვდილით არ დაისჯება, არამედ მიესჯება სამოდამოდ მადნებში მუშაობა. საკვდილით ქალები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისჯებიან, თუ მათ ვნება რამ მისცეს ხელმწიფე იმპერატორის, დიდოფლის და ტახტის მემკვიდრეს სიცოცხლეს, ჯან-მრთელობას და თავისუფლებას, ან თუ მოიწადინეს ხელმწიფე იმპერატორის, ტახტიდან ჩამოგდება, მისგან უმადლეს ეუფლებათა ჩამორთმეცა ან შეზღუდეა. თუ დანაშაულის შემამცირებელი რაიმე გარემოებანი იქნა ცნობილი, ახალი დებულებით დამნაშავეთ, შესაძლებელია, საკვდილით დასჯა მადნებში მუშობად შეეცვალოს, უვადოთ ან ვადით, 10—15 წლამდე.

მადნებში მუშობის უკრძესი ვადა, ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევთა გარდა, 15 წელიწადი იქნება და არა 20 წელიწადი, როგორც აქამდის იყო. დამნაშავეთ ყველა ეფლებათა ჩამორთმეეა გაექმებულია ახალი დებულებით. ამიერიდგან წოდებრივ უფლებათა ჩამორთმეეა ნაშენავს სამუდამოდ დაკარგვას წოდებრივ უფლებათა, აგრეთვე სამსახურში შეძენილ უფლებათა და უპირატესობათა.

უფლებანი ჩამორთმეეთ ყველა წოდების პირთ, რომელთაც მიესჯებიან საკვდილით დასჯა, მადნებში მუშობა ან ციმბირში დასასახლებლად ეაგზავნა. უფლებანი ჩამორთმეეთ ახალაერი შვილო, საზოგადოთ სასულიერო წოდების პირთ, საპატიო მოქალაქეთა და ვაჭართ, რომელთაც მიესჯებთ გამასწორებელ სამატიმრო და სატუსაღოთ დამწყვდეეა. სამსახურის უფლებანი ჩამორთმეეთ დანაშაეთ, სანამ მათ სასჯელის ვადა არ შეეხურულდებოდ და შესრულების შემდეგ ბ—10 წლამდე. დანიშნული ვადის ნახევარი რომ გაიცლის, სასამართლოს შეეძლოთ, შეამოკლოს დანარჩენი დრო, დამნაშავეთ თოოგნით, თუ ამ ეუანასკნელთა ეოფა-ქცეეა კეთილათ იქნა ცნობილი. ყველა დამნაშავეთ, რომელთაც მიესჯებიან საკვდილოთ დასჯა, მადნებში ან დასასახლებლად გაგზავნა, ჩამორთმეეთ ნათესაური დამოკიდებულებიდან გამომდინარე უფლებანი და უპირატესობანი, არ ექნებათ უფლება მიიღო მემკვიდრეობა, მას შემდეგ, რაც განაჩენი სასრულეში იქნა შესული.

ახალი დებულებით საყურადღებოდ შემსუბუქდება იმ დამნაშავეთა სასჯელი, რომელთაც ეუმძიესი დანაშაულობანი ჩაიდინეს.— შეიძლება ვადის შესრულებამდე გაანთავისუფლონ ისინი მადნებიდან, სამუდამოდ გაგზავნილნი—15 წლის შემდეგ და ვადით გაგზავნილ ... [illegible] ... ლი მამაშვილური საუბარი ჯვარის წერის წინა დღეს, საუბარი მხოლოდ სასიძოსთან, მაშინ დაუსწრებლად: „შვილო!—უთხრა მას მეფეფლმა შენ მიგეყვა ჩვენის სოფლის თვალი ცოლად. ბედნიერი ხარ!! რამდენს უნდოდა იმის ცოლად შერთვა... სილამაზით ხომ ხედავ რაც არის. ახლა არ იტყვი, რა გამრეკე კალიან?! შრომის მოყვარე, ხელსაქმის მცოდნე, ქართული წერა-კითხვაში გავარჯიკი შებული, ღვთის მსახმელი, უფროსთა პატივ-ეცემელი, ერთი სიტყვით ოქროა.—მეც, შვილო, დაგლოცავთ, გიწერავთ, ნაწილს ამოგიღებთ სეფისკვერში... ეს ისეთი დღეა, შენს სიცოცხლეში, რომლის მსგავსი აღარ მოგელის. ჯვრის წერის სასყიდელი შენს სვინდისზე იყოს. მე ვკურთხავ არ შემფერეს... რომ შვილი ქალი არ მყავდეს ერთი ერთმანეთის ძომდეგნო, არც-კი არავის შეეაწუხებდი“... მღვდლის ტკბილი სიტყვებით მოხიბლულმა ლექსომ თხუთმეტი მანეთი გადაიხადა ჯვარის საწერი. ეს კიდევ ორაფერი, თხუთმეტ-ოც თუმანამდის ქოროსელი დაუჯდა და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი რამ დაებარჯა!! მოიგონდა ყოველივე ეს საყდრის ახლოს და ცრემლით აეკსო თვალები... დღეს მისი ქვიფსაცა კატო ფლებარე ავადმყოფია... ვინ იცის, ეგეც კიდევ მოუკვდეს, მოუკვდეს და დამარხოს სწორედ ისე, როგორც არიან დამარხულნი მიცვალებულები ინ, აგერ საყდრის ახლოს სასაფლაოზე...—„ღმერთმა ნუ ქმნაროს!—სთქვა ლექსომ დარდით გაეკიეფდებ... როგორ ,,ენდა გაყვლო ეიმისოდ?! თავს მოვიკლავ, თანა რომ ეუტყდეს რაგ“!

მალე მიეიდა მკითხავთან ლექსო. მკითხავმა ერთი მანეთი გამოართვა სამკითხავო და უთხრა: „ცოლი იმიტომ გაგიყ ავად, რომ ფშ. გიორგი სარკისა ღამის თეკვას და შესაწირავებსა გთხოვსო“!..

III

მოდის ლექსო შინისკენ და გრძნობს ცოტოოდენს ნუგეშსა... „ღმის თეკვა,“ „შესაწირავეო“—ჰფიქრობს ლექსო—„ნეტავი ვიცოდე, ხატს შესაწირავი რაკ უნდ?!... მაგ

ზავნილნი—ამ ვადის $^2/_3$ შესრულების შემდეგ, თუ მათი ყოფაქცევა კეთილი იქნა, შეიძლება გადაიყვანონ იმ ადგილებში, რომელნიც მათ დასასახლებლად იქნებიან დანიშნულნი

მაღნებიდან დასასახლებლად გადაყვანილნი ის პირნიც, რომელნიც დასასახლებლად იქნენ გაგზავნილნი, თუ მათი ყოფაქცევა კეთილი იყო, ათი წლის შემდეგ შეიძლება გაანთავისუფლონ დასახლებისაგან, აგრეთვე შეიძლება გაანთავისუფლონ გამასწორებელ სასპატიმროში დამწყვდეულნი ვადის $^5/_6$ შესრულების შემდეგ.

სასამართლოს ნება ეძლევა დამნაშავედ ცნობილს ჩაუფიქლოს სასჯელი ის ან დრო, რომელიც მან დაპკო გასამართლების წინეთ სატუსაღოში ან გამასწორებელ სასპატიმროში და ციხეში, ახალი სისხლის სამართლის დებულების მიერ მიღებული სასჯელნი შემდეგია:

1) სიკვდილით დასჯა.

2) მაღნებში მუშაობა უვადოთ ან ვადით 4—15 წლამდე, ზოგიერთ შემთხვევაში-კი 20 წლით; ამ ვადის შესრულების შემდეგ დამნაშავეს დასასხლებენ განსაზღვრულ ადგილს.

3) გადასახლება უვადოთ, რომელიც დანიშნებნა სასჯელად მხოლოდ ზოგიერთი განსაკუთრებულ შემთხვევაში.

4) გამასწორებელ სახლში დამწყვდევა $1^1/_2$—6 წლამდე, ზოგიერთ შემთხვევაში-კი რვა წლამდე.

5) ციხეში დამწყვდევა ორი კვირიდან 6 წლამდე, ზოგიერთ შემთხვევაში 8 წლამდე. ციხე ითვლება სასაბამოოთა შორის სასაბუთო ადგილად და ამიტომაც შედარებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში მიესაჯებათ დამნაშავეთ ციხეში დამწყვდევა.

6) სატუსაღოში დამწყვდევა ორი კვირიდან ერთ წლამდე, ზოგ შემთხვევაში-კი ორ წლამდე.

7) დატუსაღება ერთი დღიდან 6 თვამდე, ზოგიერთ შემთხვევაში ერთ წლამდე.

8) ფულით დაჯარიმება არა უმცირეს 55 კაპ.

დანაშაულის შემამცირებელი გარემოებანი, ზოგიერთ შემთხვევათა გარდა, სისხლის სამართლის დებულებაში არაა აღნიშნული. ამით ამოიჩეენეში სასამართლო არ არის შეზღუდული. აგრეთვე ახალ დებულებაში არაა საზოგადოდ ჩამოთვლილი ის გარემოებანი, რომელნიც აძლიერებენ დანაშაულობას და მასთან სასჯელსაც. დამნაშავეს მოუხთოვება გაძლიერებული პასუხის მგებლობა, თუ ამას სასამართლო დაინახავს საჭიროდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავეს ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენა ჩვეულებად გადაქცეული ან ხელობათ აურჩევია, აგრეთვე როცა საზოგადო დანაშაული ჩადენია მოხერ ამ დაიღოცოს იმის სახელი,—იმისი... სარკის წმ. გიორგისა .. ძლიერი ხატი თუმცა... ოდაები არ გამიგონია ბებიაჩემისაგან იმ ხატზე?!. კარ-გადღებული თუმცა, და ვერავინ ბედავს შესვლას და ფულის აღებას. ერთხელ თურმე ერთი ძაღლი მესულიყო, გამომცხვარი პურისთვის დაეკლო პირი და გამოსულიყო კარში. კარებთანვე გაქცეულიყო. დღეს ეს გაქცეულები ძაღლი იქნეო. კიდევ რაები არ ამბობენ?!. მაგრამ იქ, რკინის გზაზედ რომ ესაქეი ერთხელ ყველა ეს ამბები, სიცილი დამაყარეს. ერთი იქიერელი მუშა იყო, რომელსაც მეტს სახელად „ეინტახს“ ეძახდნენ,—იმან ქოქოლაკ-ეი მომაყარა...

— „აგი ბებერსანმა მოგონილი ეკრანია!“

—მითხრა იმან—„დედელოკის ხატის სახელი, ეს რეიხა უნდა ჩვენი შესაწირავიო“... რეინის გზის მუშებს იმისთანა ამბებისა არა სჯეროდათ-კი... ღმერთო!.. შეუნდეგ... დღეის დღეს... წითელს პარასკევს ერთმა მათგანმა... არა ვერ ვიტყვი... რა ვჭქნა... მე, ... ღმერთო, მათი არა მჯერა-რა... მამა-პაპის სჯულზედ მაგრად ვარ, მაგრად... წმიდაო გიორგი სარკისაო! ოღონდ კატო მომირჩინე, და ღმერთმა ... ერთის კარგს ნსეკენს ცხვარსაც შეწირავ... მაგრამ ი ჩვენი ახლად გამწყვეტელი პეტრე ღვდელიც რომ სხვანირიაო?!. ... ითხოვებისა არა სჯერა-რა... უბრალო ხარჯს-კი ეს ეწვევიო ნათელა-ქორწილში,—მკვლის დამარხვის და წლის წირვის დროსაო... მარტო გულით ილოცეთო და კეთილი საქმეები ... ...

ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის მრთველობამ და მოსამსახურეებმა, რომელთაგ ექვვეთ ჯამაგირი არა ნაკლები ორი თუმნისა, გადაწყვეტეს თებერვალში, ბ-ნ გ. ნ. ბუდაძის ინიციატივით, გადასდგან ორ-ორი პროცენტი ჯამაგირისა ეთვლელ თვე მეხუთშეადის სასარგებლოდ იმ დრომდის, სანამ საკმაოდ დაროვნა საზღვარ გრეთ. ორ თვეში შეგროვებული 81 მან. უკვე მიგიდეს ბ-ნ გ. ნ. ბუდაძისაკენ

გ. ნ. ადგილი მეხუთშეადის მონდობილობით ფლრმეს მადლობას ეუწერავ, როგორც ამ წერილში მოხსენებულ დაწესებულებათ და პირო, ეგრეთვე ეკვლეს, ვინც თანაგრძნობა და დახმარება ადმოუჩინა ფეოლის შეგროვებათ, თუ წვდილის გამოდებათ.

ივ. ის. ბუბადეთი.

III

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენს პატივცემულს გაზეთს „ᲘᲕᲘᲠᲘᲐ“-ში უგზავნოთ ეს მადლობა გამოგუხდეთ ქ-ნს ეკატერინე ივანეს სულს სარეკლესიოს, რომელმაც შეშალწერა კერძასახის ფულნი სახლეთ სამეთხეველის 25 მანეთი.

კარდანახის სამეთხეველოს გამგე კნ. ელენე ეკატერინეს ასული ალფანასიანი.

„ᲘᲕᲘᲠᲘᲐ“ ᲤᲝᲭᲚᲐ:

პეტროზეკი. ნ. ᲒᲐᲜᲘ. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

ივ. მეგვრელიძეს. თქვენი „ეკლესიფლი“ და „ტესლეკი“ არ დაიბეჭდება.

ᲤᲣ—ᲒᲣᲜ. თქვენი ამბავი „სადგურზედ“ არ დაიბეჭდება.

ᲒᲚ. ᲑᲐᲒᲝᲜᲘ. თქვენს წერილს რედაქციის მიმართ და ნეკრიოდოს სიზზეკვალურად ინტერესი არა აქვს.

ᲓᲔᲙᲐᲔᲨᲐ

(„რუსეთის დეკეშათა საგენტოსაგან“)

9 აპრილი.

ᲕᲘᲢᲔᲑᲡᲙᲘ. ვიტებსკის გუბერნიის მცხოვრებთ, შიშლილთ შეეფროვებულთ, ეძლევათ ეპური, ადმინისტრაციის მიერ ნაყიდი. 1,100 ვაგონი კარგის ღირსების ეპური და კარტოფილი ძალიან იაფად იქმნა შეძენილი. გამოყოფელნი განუწყეტლივ ამბარებენ ადმინისტრაციის ნაყიდს სახლოს. ᲕᲘᲢᲔᲑᲡᲙᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ გაგზავნა ზოგიერთს ადგილს, რომ თვითონ პირადად ადექნოს თვალ-ყური ამ საქმეს.

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲝᲓᲐᲠᲘ. სამის კვირის წინად, როცა მდევარი გაბოეკილდა ცხენისპარეებს, მოკლულ იქმნა მამასახლისი დუმენოვი, ხოლო სასაკვლიდიდან დაიპრა ფანჯრიდან ნასროლის ტყვიით მამასახლისი მახლობლის სოფლისა კუბატოვი, რომელმაც შეიპყრა ცხენის ქურდები.

ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝᲞᲝᲚᲘ. მოვიდა კანონერკა „დონეცკ“-ი შჩერბინას ცხედრით. მიეგებნენ დიდის ამბით. რეიდის გემები სამამძრის შედლუბით დაუხვდნენ. ქალაქის თავმა და საქალაქო თვითმმართველობის წარმომადგენლობამ შეამკეს კუბო გვირგვინით, რომელსაც ზედ ჰქონდა წარწერა: „ᲙᲣᲚᲘᲡ Გ. ᲨᲩᲔᲠᲑᲘᲜᲐ, ᲒᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜᲘᲡ ᲒᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“. ᲨᲐᲜᲯᲐᲚᲘ. მეუდესა და კაიუანს სრულიად თავი დაანებეს რუსეთსა.

ᲠᲝᲛᲘ. მეფემ უბოძა პრინცეტის პირველ ხარისხის ორდენი მაგრიკისა და ლიზარეთისა და, როგორც გაზეთები ამბობს, მარკეზობაც უწყალობა.

ᲑᲐᲠᲔᲚᲝᲜᲐ. 8 აპრილს დაარსდა გერმანია-ჩინეთის სარეინის-გზის საზოგადოება, ჩინეთის სახელმწიფო რკინის-გზების გასაყვანად, ფულის მხრივ საქმის მოწყობას ჰკისრულობს გერმანია, ანალის ბანკი და ის ბანკები, რომელთაც ამ ბანკთან კავშირი აქვთ. ძირითად თანმად 10.000,000 მარკა ეკუნებათ. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ჰანზემანი.

ᲚᲘᲜᲓᲐ-ᲔᲚ-ᲐᲑᲐᲚᲘ. ხონთკარმა აკლონა ზინოვიევს, რომ მკვლელი იბრაჰიმი მიეცემა სიკვდილით სასჯელს ჩამოხრჩობით სწორედ იმ ადგილას, საც იბრაჰიმმა თოფით დასჭრა შჩერბინა. ასეთივე ხვედრი მოელის იქაურს მედღეშენს ჰუსეინს-იბრაჰიმის წაქეზებისთვის.

10 აპრილი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲚᲘ. 9 აპრილს მთ იმპერატორმენ უდიდებულესმა ღირს ჰყვეს მოსკოვის თავად-აზნაურობა, მიიღეს მისი მიპატიჟება საპასუხო ტრაპეზზედ და მობძანდნენ რუსეთის თავად-აზნაურთა საკრებულო სახლში. კარი და ყველა დარბაზები მორთული იყო ყვავილებითა და უცხო ქვეყნების მცენარეებთა. მთ უდიდებულესობათ მიეგება საგუბერნონო წინამძღოლი თავადი ტრუბეცკოი ყველ სამაზრო წინამძღოლებითურთ. კნეინა ტრუბეცკოისამ მიართვა ხელმწიფე იმპერატრიცასა და დიდ მთავრისას თაიგულები. მთნი უდიდებულესობანი, ხელმწიფეფ მემკვიდე დიდის მთავრითნთა და დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე კნეინა ტრუბეცკოოთ, რომელთაც მიეძღოდა საგუბერნონო წინამძღოლი და ახლდა კარის მინისტრი შვარძანდნენ დიდ კოლონიანს დარბაზში და გარშემოუარეს. საუზმის დროს გალობდა ფა უკრავდა რუსულ ოპერის დასი და ორკესტრი და ხორო რუმესკი დრაგუნთა პოლკისა. როდესაც მოართვეს შამპანის ღვინო, საგუბერნონო წინამძღოლმა მთთა უდიდებულესობათა სადღეგრძელო წარმოსთვა, რომელსაც მოჰყვა ალტაჯებული „ურა“ და ჰიმნის დაკვრა. საუზმის შემდეგ მთ უდიდებულესობათ მიირთვეს ყავა რეგალს სასტუმრო ოთახში და ესაუბრებოდნენ თავად-აზნაურებს და მთ მეუღლეებს. მას შემდეგ კოლონიანს დარბაზში მოისხენეს საკონცერტო განყოფილება. მათნი უდიდებულესობანი წაბძანდნენ ოთხის საათის დამლევს.

თავადმა ტრუბეცკოიმ წარმოსთქვა შემდეგი სადღეგრძელო: „თქვენო იმპერატორებითი უდიდებულესობანო; ამ სამის წლის წინ მოსკოვის თავად-აზნაურობა გაბედნიერებული იყო თქვენის უდიდებულესობას და ხელმწიფე იმპერატრიცის მობძანებით სასასეკო ტრაპეზედ; დღეს თქვენნა უდიდებულესობამ კვლავ ინებეთ, ხელმწიფე იმპერატორიცთ და ხელმწიფეფ მემკვიდრეთ, გაგებედნიერებინეთ მოსკოვის თავად-აზნაურობა თქვენის მობძანებით. ერწმუნეთო, ხელმწიფეო, იმ წრფელს სიყვარულსა და ერთგულებას, რომლითაც ჩვენ განსაკვალულნი ვართ დღეგანდელი დღე, და აგრეთვე უწინდელი თქვენი მობძანება, წარუზოველად აღიბეჭდება მოსკოვის თავად-აზნაურთა გულში. თქვენი ერთგული მოსკოვის თნვად-აზნაურობა აქ მეკრთბა და ჩვენ და ჩვენი ცოლნი და შვილნი ვსვამთ სადღეგრძელოს თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობისას. უაღგუსტოესის თქვენის ღედის ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორის ასულისას, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულისას და უფროესი თქვენის მეკლესისას და ვისურეებთ თქვენნის უქმენის უდიდებულესობის ბედნეგრებასა და კეთილდღეობას მრავალ ქამიერ—ურა!“ მას შემდეგ თავადმა ტრუბეცკოიმ წარმოსთქვა სადღეგრძელო ხელმწიფე მემკვიდრისა.—საგუბერნონო წინამძღოლის სადღეგრძელოზედ ხელმწიფე იმპერატორმა ინება და ბრძანა შემდეგი ტორტი: „ხელმწიფე იმპერატორადის სახელოთ და ჩუმის მხრით მადლობას გიგზავნთ თქვენ, ბატონენო, თქვენის სტუმრობა-მოყვარისა და ზედგრეულ ტრაპეზისათვის. ჩვენ ბუდეთად სიამოვნებად მივიხილეთ კვლავ მოგზეულეგთ ოქვენს სტუმრთ-მოყვარე ᲥᲐᲠᲘ ᲥᲕᲔ და კვლავ მიგეგლო თქვენის სასასეკო სუფრა, როგორც ამ სამის წლის წინ. ხელმწეფე იმპერატრიცისა და ხელწეფე მემკვიდრის სახელოთ და ჩუმის მხრით ვსვამ მოსკოველის თავად-აზნაურობის სადღეგრძელოს და მის დიდებისა და ᲒᲠᲐᲪᲘᲝᲡᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ. თქვენი სადღეგრძელო ეფოს, ბატონებო!“

ᲡᲝᲤᲘᲐ. თუმცა აღდგომის დღემ მაკედონიაში შედარებით მშვიდობიანად გაიარა, მაგრამ პორტა მაინც გულ-დაჯერებული არ არის. ობილიზაცია გაძლიერებულია. ესადა-ᲗᲐᲛ დაანაბიმრა მრავალი მეამბოხე ალბანელი სკუტარის ოლქში. ხონთკარმა მისცა ბერძენთა და სომეხთა პატრიარქებს და ბოლგარიის ეგზარხატს შემწეობა ფულად დარიბთათვის დასარიგებელად აღდგომის დღის გამო.

ᲠᲝᲛᲘ. მეფემ ხელი მოაწერა ბძანებას, რომლითაც მორინი უცხოთ საქმეების მინისტრად ინიშნება და ბერტოლო საზღვაო მინისტრად.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ. როგორც კონსულები იუწყებიან რადოვიჩის ახლო ბრძოლა მოამდარა ოსმალოს ჯარის ნაწილისა ᲯᲣᲤᲩᲘᲗᲘᲡ. ᲯᲣᲤᲩᲘᲗᲘ გარშემორტყა ოსმალოს, რომელიც გამაგრდა სანამ მეშველი ჯარი მოვიდოდა; მაშინ ᲯᲣᲤᲩᲘᲗᲘ გაუბეკეტეს და მოუსალეს ორი უფროსი და ოცეზე მეტი ჯარის კაცი მოუკლეს და 50 დასჭრეს. ოსმალოს დანაკარგი: 2 ოფიცერი ᲓᲐ 11 ჯარის-კაცი მოკლეული ᲓᲐ დაჭრილია.—პორტას ცნობით პეჩეეთის ოლქში-უფრო დიდი ბრძოლა მოხდარა: 500 ბოლგარელი გარს შემორტყმია ოსმალოს ჯარს, მაგრამ მეშველმა ჯარმა დაიხსნა და ეჭლა სდეენინ ბოლგარების ᲯᲣᲤᲗᲘ. რადოვიჩის და ბეჩეევის ოლქები მოსამზღვერფენი არიან და საგონებელია რომ კონსულების მოახსენება და პორტას ცნობა ერთსა და იმავე ბრძოლიის ამ-ამბავს შეეხებაა.

ᲛᲝᲜᲐᲙᲝᲡᲘ. მთანი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი, ხელმწეფე მემკვიდრე, დიდი მთავარი და დიდი მთავრინნი დაესწრნენ ᲐᲮᲠᲘᲚᲘᲡ 8-ს საღამოს დიდ თეატრში წარმოდგენას, რომელიც გამართული იყო ივეერიის კრებულის სასარგებლოდ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ. გუშინ ზღვისასთნა და ჯარის კაცთა შორის მოხდა ხელნართული ჩხუბი. ჩაგონებისა და ჯარის მოსელის შემდეგ წესიერება აღდგენილ იქმნა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. უსაუბიდგან მოსულ ცნობებით იქ მიუყვანიათ შჩერბინას მკვლელი იბრაჰიმი, რომელიც იქვე იქმნნა დასჯილი.—პრაზრეენის სანჯაყის ალბანელთა შორის დიდი მღელვარებაა იქაური გაზეთეეი იუწყება,—40-მდე სოფელი მონასტერის კაზის მიემხრო ამბოხებას. სარაფეოი 1800 აკაანყეტულ გლეხს წინამძღოლობს. ჩერნოპეეევის ᲯᲣᲤᲗᲐ გიმარᲯვა პეტრინიეკის კაზთან. შიდა ბულგარიის კომიტეტებსა და ალბანელ ბელადთა შორის საერთო არა არის-რა.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ. მაკედონიის რკინის გზებზე ᲯᲐᲠᲘᲗᲘᲡ აჩქარებული გადაზიდვაა; საგონებელია, რომ გაზზრახავ აქვთ იმეკისა და დიაკოვის აᲯანყეტულ ალბანელთ თავს დასესხნან.

ᲡᲘᲠᲘᲐᲜᲯᲘ. ინგლისის მეფე ნეაპოლს წავიდა.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ალფრედ დრეიფუსმა მიმმართა სამხედრო მინისტრს წერილით და სთხოვს კვლავ დანაშნოს გამოძიება იმ ბარათის შესახებ, რომელშიაც ნათქვამია, რომ იგი საზღვარ-გარეულ გაზვნიდან საბუთებს, და რომლის არშიაზედაც „ვითომც გერმანიის იმპერატორის ხელითაა მოწერილი შენიშვნები ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲣᲡ მოახსენებს მინისტრს იმ ბოროტმოქმედების შესახებ, რომელიც ჩაუდენიათ მის განსამართლების დროს ამ ყალბ საბუთის მეიოხებით, და ავალებს მთავრობას, გამოიძიოს ასეთი შემთხვევა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 8 აპრილ

ᲕᲔᲦᲘᲡᲘᲔᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ 3 ᲗᲕᲘᲗ:

ლონდონში 10 გრივ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიეში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,95
ბერლინში ,,	46,30
პარიეში ,,	—
ბრიკოს დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98⅜ მეფე.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 მეფე.
4% გრიგან. ფურც. სახელ. სადგ. მამეული ბანკისა	95⅜ მეფე.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	443 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	340 გაყ
5% გრიგან. მომგ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	302½ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო სახზ.	90¼ გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე სახზგადოებისა	—
5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გრიგან. ფურცელ.	—
4½% ნირანგრან. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ᲥᲣᲗ. სადგ.-მამ. ბანკის გრიგ. ფურცელ.	—
5% გრიგან. ფურც. იმავე ბანკისა	91½ გაყ.
პაეში ძმ. ნობელის სანაგეთო მრეწველ. აქციები	—
,, ,, ,, ,,	—
,,ᲥᲐᲡᲘᲡᲘᲡ ამხანაგობისა.	—
,, ბაკოს ნავთის სახზგად.	400 წვ. გაყ.
,, Ა. Ნ. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. სახზგად.	201 წვ გაყ.

მიმოსელა რკინის გზის მაგალრეულებისა

15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲒᲐᲜ 15 ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲐᲛᲓᲔ.

(ფერხნიდგენს კარგად ნაჩვენებია მეტერბურგის საათი, ფრანსიდგენ-ᲒᲝ—ტეფლისის).

ა) ᲩᲥᲐᲠᲘᲜᲘᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲓᲘᲗ:

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐᲛ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ᲙᲐᲫᲘᲡᲐᲛ:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირფაირ მოსკოვიდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ᲥᲐᲠᲡᲘᲡ:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საკონლოს № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲛᲘᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ:—სამგზავრო № 7 ნაშუადღე